ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-251633/12

"24" 08 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II, №8-ში, (საკ. კოდი №01.19.34.004.063) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2172271 23.09.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II, №8-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-10“ ფასადი: „5-6“ მონაკვეთში +2.85 ნიშნულზე გაზრდილია სადარბაზოს ღიობის სიმაღლე 0.2 მ-ით, ამავე მონაკვეთში +21.55 ნიშნულზე შემცირებულია ღიობის სიმაღლე 0.5 მ-ით. +23.65 ნიშნულის ზევით კედლის ნაწილი შეწეულია კედლის სიბრტყიდან. +12.60 ნიშნულზე „6-6“ ღერძთან დამატებით მოწყობილია კონდიციონერი. „5-6“ მონაკვეთში სადარბაზოს განათების ღიობებში არ არის დასრულებული გისოსების მოწყობა და ნაწილობრივ შესაღებია. +10.45 ნიშნულზე „2-2“ ღერძთან დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი.

„ა-დ“ ფასადი: ±0.00 და +3.15 ნიშნულებზე „ა-გ“ მონაკვეთში გაზრდილია აივნების გაბარიტები, ამავე მონაკვეთში -0.80 ნიშნულზე აივნების ქვეშ შეცვლილია ფასადის ღებვის ფერი. -0.30 ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კარნიზი. +27.00 ნიშნულზე „ბ-დ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ფრამუგები, ხოლო ფრამუგის ღიობებში მოწყობილია გისოსები. +25.85 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია კარის გაბარიტები და ნახატი.

„10-1“ ფასადი: „6-5“ მონაკვეთში გაზრდილია ფანჯრების სიგანე 0.2 მ-ით. „8-6“ მონაკვეთში შენობის ძირი შესაღებია. „7-6“ მონაკვეთში შენობის ძირში დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილი.

ფასადებზე ნაწილობრივ შესაღებია ლითონის მოაჯირები. ფასადებზე ზოგიერთ აივანზე მოწყობილია წყლის გადამყვანი მილები. ფასადებზე ზოგიერთ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფშები. შენობაში „5-6“ მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და შეცვლილია ბაქნების გაბარიტები, ასევე კიბის მოაჯირები შესაღებია.

სარდაფის სართულზე, შეცვლილია კედლების ფორმები. „8-7“ მონაკვეთში „დ-დ“ ღერძის გარეთ გაზრდილია კიბის საყრდენი კედლების სიგრძე 0.4 მ-ით, ასევე გაზრდილია საფეხურების რაოდენობა. „დ-ბ“ მონაკვეთში „1-1“ ღერძის გარეთ გაზრდილია კიბის საყრდენი კედლების სიგრძე 0.3მ-ით.

პირველ სართულზე „8-5“ მონაკვეთში შემცირებულია პანდუსის გაბარიტები, ასევე შეცვლილია კიბის და ბაქნის გაბარიტები. „7-4“ მონაკვეთში „დ-დ“ ღერძის გარეთ შემცირებულია კედლების სისქე.

+25.10 ნიშნულზე გადახურვის ქვეშ დამატებით მოწყობილია ხის დგარები. სახურავზე გაუქმებულია სავენტილაციო შახტები და შეცვლილია სამერცხლეების რაოდენობა. „5-6“ მონაკვეთში შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია და გაუქმებულია პარაპეტი.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, გაუქმებულია გამწვანების ზოლები. გენგეგმაზე ნაჩვენები ღია ავტოსადგომის ადგილას განთავსებულია არსებული შენობა-ნაგებობა.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „კახეთი-91"-ს, ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II, №8-ში, (საკ. კოდი №01.19.34.004.063) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №251633/12 13.07.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA980120403752216

№16/309738

29 / ნოემბერი / **2016** წ.

შპს კეხეთი 91-ს მინდობილი პირი ვლადიმერ
გეთიაშვილი 01011017822
აწყურის ქ23
599971313

ბატონო ვლადიმერ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი #360835/07 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, შესახვევი ქინძმარაულის II-ში, #8-ში, (საკ. კოდი #01.19.34.004.063) მდებარე ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) გადამოწმებით დადგინდა, რომ „1-10" ფასადზე: „5-6" მონაკვეთში სადარბაზოს განათების ღიობებში დასრულებულია გისოსების მოწყობა და შეიღება სრულად. „ა-დ" ფასადზე: +27.00 ნიშნულზე „ბ-დ" მონაკვეთში მოეწყო ფრამუგები. „10-1" ფასადზე: „8-6" მონაკვეთში შეიღება შენობის ძირი. ფასადებზე სრულად შეიღება ლითონის მოაჯირები. ასევე „5-6" მონაკვეთში შეიღება კიბის მოაჯირები. სახურავზე მოეწყო სავენტილაციო შახტები და „5-6" მონაკვეთში მოეწყო პარაპეტი. ასევე გამოსწორებულია სამსახურის #ბ-251633/12 24.08.2016წ. ბრძანებაში მითითებული შემდეგი დარღვევები: „ა-დ" ფასადზე -0.80 ნიშნულზე აივნების ქვემ შეცვლილია ფასადის ღებვის ფერი"; „8-7" მონაკვეთში „დ-დ" ღერძის გარეთ გაზრდილია კიბის საყრდენი კედლების სიგრძე 0.4 მ.-ით"; „დ-ბ" მონაკვეთში „1-1" ღერძის გარეთ გაზრდილია კიბის საყრდენი კედლების სიგრძე 0.3 მ.-ით"; „8-5" მონაკვეთში შეცვლილია კიბის და ბაქნის გაბარიტები". სამსახურის ბრძანებაში მითითებული სხვა დარღვევები უცვლელია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე